371.3
Თ-787

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ �პᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲝᲯᲣᲐ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ �გᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ (ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲖᲛᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲖᲔ)

13. 00. 02 - ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲐ

ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ
ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ
ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲤᲔᲠᲐᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ - 2003

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ ჯოჯუა

უცხოური ენის გრამატიკის სწავლება. უმაღლესი სასწავლებლის სპეციალურ ფაკულტეტზე (ინგლისური ზმნის პირიანი ფორმების მაგალითზე)

13. 00. 02 - სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი - 2003

ნაშრომი შესრულებულია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნ. დოდონაძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: მ. მეგრელიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ტ. ბუკია, *პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი*

დისერტაციის დაცვა შედგება „11.12“ 11[00] საათზე, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის **PD. 13.00.CN1** სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380079, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №32.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა „11“ 11 2003 წ.

-1901-

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
პროფესორი ც. ლოლაძე

საკვლევი პრობლემის აქტუალობა. ენა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების დინამიკურ სისტემას, რომელიც გარკვეულ წესებს ექვემდებარება. ამ სისტემის წარმატებით ფუნქციონირებას უზრუნველყოფს პირველ რიგში გრამატიკა. იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ ამა თუ იმ ენაზე გამოთქმული აზრი და შევძლოთ გადავცეთ ინფორმაცია ზეპირი თუ წერითი ფორმით, შესაბამისი ენის გრამატიკულ მექანიზმს უნდა დავეუფლოთ.

ინგლისური (და მრავალი სხვა) ენის გრამატიკის დაუფლებისას ზმნის პირიანი ფორმები (Finite forms of the verb) მის ბირთვს წარმოადგენს. გრამატიკული შეცდომების უმეტესობა სწორედ ზმნის ფორმებში არის ხოლმე დაშვებული. ძირითად სირთულეს ზმნის დრო-ასპექტის ფორმის სწორი შერჩევა და მისი კორექტული გაფორმება წარმოადგენს. ზმნის პირიანი ფორმისა და წინადადებაში სიტყვათა თანმიმდევრობის ცოდნის შემთხვევაში ინგლისური ენის შემსწავლელს უკვე შეუძლია აზრის სწორად გადმოცემა. ამდენად გრამატიკის სწავლების საერთოდ და კერძოდ ინგლისური ზმნის პირიანი ფორმების გაგებისა და გამოყენების სწავლების გაუმჯობესება უაღრესად აქტუალურად მიგვაჩნია.

სწავლების პირადმა გამოცდილებამ და კოლეგებთან აზრის გაზიარებამ, ისევე როგორც ამ თემაზე მრავალმა პუბლიკაციამ დაგვარწმუნა იმის სისწორეში, რომ სკოლის დამთავრებისას მოსწავლეთა გრამატიკული უნარ-ჩვევები შორსაა სასურველი დონიდან. იმათი გრამატიკული უნარ–ჩვევებიც კი, ვინც ინგლისურ ენას თავიანთ სპეციალობად ირჩევს, არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. თუ კი უცხოური ენის სპეციალისტის, და პირველ რიგში, მასწავლებლის, მეტყველება გრამატიკულად არაკორექტული იქნება, რაღას შეიძლება მიაღწიონ იმათ, ვინც ამ ენას მათგან დაეუფლება?

თანამედროვე საზოგადოებაში უცხოური და განსაკუთრებით ინგლისური ენის ფლობის მნიშვნელობა უაღრესად გაიზარდა მსოფლიო მასშტაბით. ახლა, როდესაც პოზიტიურმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა, კომუნიკაციისა და ტექნიკის განვითარებამ საშუალება მოგვცა ვილაპარაკოთ "გლობალურ სოფელზე" (global village), უცხოური ენის ფლობა ამ მიღწევების პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელ პირობად იქცევა.

ჩვენი **კვლევის ობიექტია** გრამატიკული უნარ-ჩვევების ფორმირების ეფექტურობა. ეს პრობლემა განიხილება ინგლისური ენის მომავალი სპეციალისტებისთვის ზმნის პირიანი ფორმების სწავლების მასალაზე.

კვლევის მიზანია შეკიმუშაოთ ენის სპეციალისტების მომზადებისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს გრამატიკული მასალის (კერძოდ, ზმნის პირიანი ფორმების) ეფექტურად ათვისების მკვეთრ გაზრდას.

ამიტომ ჩვენი **კვლევის ამოცანებია**:

- ***პედაგოგიური ასპექტით***: გავაანალიზოთ გრამატიკის სწავლების შინაარსი და პრინციპები;
- ***მეთოდური ასპექტით***: დავაზუსტოთ უცხოური ენის ფაკულტეტის სტუდენტთათვის გრამატიკის სწავლების კომპონენტები, მეტყველების